კიბერუსაფრთხოების ბიუროს დირექტორის
ბრძანება

MOD 4 20 00000008

21/02/2020

წარმომადგენლობითი ხარჯების გაცემის შესახებ

"საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 14 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე - 6 მუხლის "დ" და "რ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. კიბერუსაფრთხების საკითხებზე საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთს შორის სამმხრივი თანამშრომლობის გეგმის მიხედვით, 2020 წლის 24 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით, 3 კაციანი დელეგაციის ვიზიტის ორგანიზებულად ჩატარებისა და საპროტოკოლო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, დაევალოს:

ა) განვითარებისა და საგარეო ურთიერთობების განყოფილებას, მიმდინარე წლის 23 და 27 თებერვალს, აეროპორტში სტუმრების დახვედრა/გაცილება, სასტუმროში განთავსება, შიდა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის ორგანიზება და კვებით უზრუნველყოფა:

- 23 თებერვალს - სადილი 5 პირზე, რესტორანი „პურის სახლი“ 12:00 სთ-ზე, ვახშამი 5 პირზე, რესტორანი „ქართული სახლი“ 18:00 სთ-ზე;
- 24 თებერვალი - სადილი 4 პირზე, რესტორანი „პურის სახლი“ 13:00 სთ-ზე, ვახშამი 5 პირზე, რესტორანი „კოპალა“ 19:00 სთ-ზე;
- 25 თებერვალი - სადილი 5 პირზე, რესტორანი „შავი ლომი“, 13.00 სთ-ზე, ოფიციალური ვახშამი 7 პირზე, რესტორანი „ძველი მეტეხი“ 19:00 სთ-ზე;
- 26 თებერვალი - სადილი 5 პირზე, ქ. მცხეთა, რესტორანი „ ძველი არმაზი“, 14:00 სთ-ზე, ვახშამი 4 პირზე, ქ. თბილისი, რესტორანი „ლუდის მოედანი“ 19:00 სთ-ზე.
- 26 თებერვალს ქ. მცხეთაში კულტურული პროგრამის ორგანიზება.

ბ) საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს, ბრძანების პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებ(ებ)ის ფინანსური უზრუნველყოფა, საჩუქრების შეძენა/გამოყოფა - 3 ბოთლი ქართული ღვინო, 3 ც. ყანწი (სუვენირი).

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.:დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; №6).

საფუძველი: მ. აბულაძის 19.02.2020 წ. №MOD 4 20 00182043 მოხსენებითი ბარათი.

კიბერუსაფრთხოების ბიურო / მმართველობა
დირექტორი
ლევან გიორგობიანი